# საქართველოს გაზეთი

## ივნისის ე დღესა ჩყით წელსა თფილისში.

## Ho. 14.

### სანკტპეტერბურღს

#### უმაღლესნი ბრძანებანი

აპრილის კბ რიცხვსა

უბოძებია რიგის შესვლით: ცხენოსნის მხედრობაში გროდნის გუსრის პოლკის შტაბს-როტმისტრს ინფანტერიის გენერლის ერმოლოვის ადიუტანტს გრაფს ტოლსტოის როტმისტრობა ჭ ნება მისცემია, რათა დაშთეს უწინდელსავე თანამდებობაში.—

აპრილის კბ რიცხვსა

უბოძებია რიგის შესვლით ინჟინერნის კორპუსის კაპიტანს მედვედევს პოდპოლკოვნიკობა.

გარდმოიყვანებიან

შინაგანის მცველის ბატალიონებში.—

საქვეითოს მხედრობაში: ვოლოგდის ქვეითის პოლკის პორუჩიკი შტრომი სნეულებისგამო სარატოვისაში; მეცხრე ეგერის პოლკის პორუჩიკი პირზული შინაურთა საქმეთაგამო სურხონისაში.—

აპრილის კვ რიცხვსა

გარდმოიყვანების: ცხენოსნის მხედრობის ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკის კაპიტანი პეტროვსკი ყაზანის ქვეითის პოლკში.

აპრილის კდ რიცხვსა

დაითხოვების ოთხის თვის ვადით მეცხრე ეგერის პოლკის პორუჩიკი რეზინდერი კავკასიის სამკურნალო წყალზედ სნეულებისგან მოსარჩენლად.—

#### გამოცხადებანი.

ტბოლნიტელნის ექსპედიციისაგან მიწოდებულნი არიან ქვემოხსენებულის მამულების სყიდვის მოწადენი, რადგან იგინი საკუთარის ვალების მიუცემლობისათვს დადებულნი არიან საქვეუნოს გასასყიდად.

ა. მექვეული წილი თავადის გურგენიძის მეულის სოფიას ბალისა, რომელიც არის თბილისის უეზდის სოფელს კუკიაში, იმ ვალისთვის რომელიც ჰმართებს მას იმერლის დავითულასი მისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ივ იზ ჭ კ ივნისს.

ბ. სახლი აზნაურთ ნონია ჭ პოლოსა არეშოვთა, რომელიც არის თბილისის ყალაქის მეორეს ჩასტის მესამე კვარტალში იმ ვალის ჰასუხის გასაცემად, რომელიც ჰმართებსთ მათ დუკანოზს ტერ-მელქისეთოვისა: იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ივ იდ ჭ კ ივნისს.

ვ. დუქანი ქვემოთის თოახით თბილისის მოქალაქის სოლომონა ნაზარ-ბეგოვისა, რომელიც არის თბილისის ქალაქის პირველის ნაწილის პირველს კვარტალში იმ ქუჩაზედ, რომელიც ჰმართებს მას მოქალაქისავე მელქუ მაზოევისა.— მათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის იგ იდ და კ ივნისს.

ზ. ორი დუქანი ქვემოთის სარდაფით თბილისში მცხოვრების ვართანა მელიქნოვისა თბილისის ქალაქის მეორე ნაწილის პირველს კვარტალში იმ ვალისთვის, რომელიც ჰმართებს მას თბილისისავე მოქალაქის მიკირტუმა ტერ-ასატუროვისა მათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის იე, კმ და კდ ივნისს.

ე. სახლი თბილისის მოქალაქის ზაზა მეწვრილმანოვისა თბილისის ქალაქის პირველის ნაწილის მესამე კვარტალში იმ ვალისთვის რომლისაც მისაცემი არის მოქალაქე აკრიამა იგანბუღოვისათვის მისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის იე, ით. და კგ ივნისს.

ვ. ცარიელი სახლის ადგილი ქორჭლის სტეფანა ფერმანოვისა გორს იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას ნადერაშვილის სოფლის თავადის მიმ თუმანოვისა მისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის კ, კდ და ლ ივნისს.

ზ. სახლი მიცვალებულის თელავლის ნტონა უხტაიასაოვისა თბილისის ქალაქის პირველის ნაწილის მესამე კვარტალში იმ ვალისთვის, რომელიც ჰმართებს მას მღვდლის სიმონ ტერ-გუნიძისა. მისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის იზ, კზ და ლ ივნისს.

გარდა ამისა

ჟ. შეწოდებულნი არიან იგინი ვინაც უნდა ემართოს გრიგორა მეჭყაპის ქერივსა და ან რომელთაც მისი ვალი ემართოსთ და მხოლოდ გალად იგინი, რომელთაც მოვალენი არიან და ჰმართებსთ თავადი დავითსა და ელიზავარს ციციანოვთ ასე, რომ პირველ-ჰსენებულნი უნდა გამოცხადდნენ თბილისის უეზდის სუდში არს თვეზედ, და მეორენი გორის უეზდის სუდში ლ ივნისის რიცხვსა.

ჟთ. განისაზღვრების საზოგადოდ პირველი რომელ იშოვნოს სამეხი სვიმონა მოზოვი და გამოუცხადონ მას კელნაწერილის გამორთმევით, რათა გამოსცხადდეს იგი ნახჩევანის სომხის მოლის ტრაქტში რომელიც არის დონზედ სამმინათვს მას შინა წარმოებულისა მიცვალებულის ვაჭარგარის სორუნქის ივგორა პოპოვისაგან ვალადებულთა ზღვათავში დანიშნულისა ბანკროტის განწესების 1-ის ნაწილის 27 განყოფილების 62-ის მუხლის მალისამებრ ვადასა ზედა და უკეთუ ეს ასე არ აღასრულოს მაშინ დაჰკარგავს დავასა თვისსა, და მეორე რომელ მოსმენონ და წარგზავნონ თბილისის შინაგანის გარნიზონის ბატალიონში წარსრულნი არა უწყით სადა აელაბრის კარანტინიდამ სალდათნი: იეგორ იაკოვლევი და იოანნ ივანოვი ამათი ნიშნები ეს არის პირველი არის ტანად ორი ადლი და ხუთი გრე პირად თეთრი და წმინდაა თმა წაბლის ფერი თვალები აქვს მოყვითლო შავი ხნით ოცდა თხუთმეტის წლისა არის და მეორე ტანად არის ორივე ადლი და ხუთი გრე პირად შავგვრემანია თმა წაბლის ფერი აქვს თვალები შავი ცხვირი საშუალო ხნით ოცდაშვიდა მქვსის წლისა არის.—

ქუთლედ ამბავი ქალის მარიამისი.

აპრილის, რომელიც ვმოვნა მიმა ჩვენს ნ

ში ; და რომელსაც შემატყო ჩემი აქ ყოფნა მოეწონებინა ჩემი ნათესავს, იქნება ის ამხანაგი ჩვენის გრძელის მოგზაურობისა და ამისი მოხარული არის ბიძა ჩემი ამისთვის, რომ ჰპოვე ჰხედავს დიდთა მისთა სასყიდელთა და უყვარს მისი ლაპარაკი და შექცევა .— იგი მსახურებს..... ნის კარზედ კამერდინერად და წარმატებით მოქმედებს საკეთილშობილოთა საქმეთა: ახლა ის დასხოვნილი არის. საკვირველი არ არისაა ეს შემთხვევა ჩვენის ნახვისა, და საკუთრად უფრო ჩემთვის.— საზოგადოებაში რომ შევხვდებოდი ; რასაკვირველია ის გაბედვა არ მექნებოდა, რომ მეცნა ის მე უმაწვილობის ჩემის შექცევის ამხანაგად და უფრო კიდევ დამეწყო მასთან განცხადებულად ლაპარაკი ; შენ გაგიოცდება, როგორ გავითარებული არის როგორ მცოდნე არის საქმეებისა და ესრედ მარჯვე არის საზოგადოებაში უცხოსა და სხვა კაცებთან სხვა კაცი არის: მე მერიდება: მაგრამ ბიძა ჩემთან ქცევაყოფაში და ჩემთან, რომლებსაც ჩვენ სამნი ვართ ; იგი ისევ უწინდელი ალალი არის: ალალი მართალი სახურველი, გულწმინდა ; იქ ვერ დაინახავ იმაში ვერავითარს კარისკაცურს ქცევას.

დასასრულ ისევ შინ მოვედით და მე ექვსის კვირის ჩვენის წასვლის შემდგომად კიდევ შევეჩვიე ჩემს სახლის ჰატრონულს მოქმედებას. მხოლოდ ექვსს კვირას ვყოფილიყავ ? მაგრამ ვითარი ცვლილება აწარმოეს მათ მთელს ჩემს სიცოცხლეში ? ბიძა ჩემს ჰგონია, რომ ალალად მე უყვარ-ვარ. იყო მინუტები, რომლებსაც მეც ეგრეთ მეგონა ; მათ აწარმოეს ჩემს გულში ღრმა ფიქრი, მაგრამ მოვლენებმან ესეთარმან მიწრაფულად განვლო თუ ? მე სხვა რიგი ადამიანი უნდა ვიყო, რომ მაშინ შემეყვარებოდა ალალად, ნეტავი ვაბედავს ის, რომ მე უმასუხო მართალს შემიყვარებს ხაშუალ საქვეყნოს დიდის საზოგადოებისა ; ვეხთქვათ, რომ მე იმას არ ვჰხწუნობ მაგრამ ის ესოდენ ჰგვანს არწმუნებს მე, რომ მოინდომოს და შეიძლოს შეჩვევა იმ ჰაზრისა რომ მე იმის ცოლი ვიქნები: და ის მართალი არის ; ვჰგრძნობ და დარწმუნებულიცა ვარ, რომ მეტი არა ვარგა, მხოლოდკი ის, რომ ალალ მართალი ხული და უმარჯვეო ქმნილება ვარ, და ეს შეწუხებული გრძნობა მხოლოდ მაშინ განქარდება, როდესაც მე მარტოობით ვიცხოვრებ და მოვერიდები კაცების მრავალსა და ლაპარაკს.— ალოლკი ჩემდამი კეთილი არის და მთავაზობს ; ამისთვის რომ მე ვიყავ იმისი ამხანაგი უმაწვილობის დროს შექცევასა და თამაშობაში ? მაგრამ სხვა კაცნი, რომელნიც მე ვერ მიცნობენ ; რომლებთანაც არ მითამაშნია მე უმაწვილობაში სხვა კაცნი კაროლინავ დაიწყებენ ჩემზედ სიცილსა.— გავათავებ ; მეწყინება.—

მოხსენებით იყავ, საყვარელო კაროლინავ განთავისუფლებულს ალოლკითან ცნობას არცა სახესა ზედა ჩემისა ცხოვრებისასა არცა ხვედრსა ჩემსა ზედა არ ჰქონია ის ძალი, რომელიც შენ როგორც ჰხჩანს გგონია საშიშარი.— არაოდეს და არავითარს გრძნობას არ მივჰსცემ ჩემში იქონიოს ვითარიმე ნება და ძლიერება იმაზედ, რაჩცა უწინარეს ადმიარებიეს მე ჭეშმარიტად და კეთილად, ჩვენ უმაწვილთ ხშირად გვესმის ფრიად გამოცდილთა კაცთაგან, რომელ ჩვენი გული იყოს ხერხიანი და საშიშარი ვიდრე ყუველთა მათ, რომელნიც არიან ბრძენთაგანნი, და რომელ სათანადოარს ერთხელობა ბირისჰირ საკუთართა ვნებათა თჳსთა და უმეტეს არა საიმედო არს, რათა ქცევა თვისი ჰსცნას და დაარწმუნოს წამსა განლევიმებისა მიდრეკილებისა ჩვენისასა.— მე ვერ ბრალეულ ვჰხადო თავს ჩემსა ვერავითარსა შეცოდებასა შინა, და მასთანავე გული ჩემი, ვითარ ეუწყი მე თვით ნამდვილთა ცნობათამებრ, შემძლე გრძნობათადმი ღრმათა და წარუხოცელთა, უცხო არს იმა მახვილთა და მიწრაფულადთა ვნებათადმი, რომელ-

თაგამო დაირღვევის თანასწორობა შორის წადილთა და თანამდებობათა.— ვინცა ჭეშმარიტად უყვარს ღმერთი, მის შორის თანასწორობა ესე დამტკიცებულ-არს შეურყეველითა საფუძველთა.—

ჩვენის მოსვლის შემდგომად პირველ დღეებში მე დიდად შეწუხებული-ვიყავ ბიძა ჩემმა ეს შემიტყო და შენდამო ცნობილითა სიწყნარითა თვისითა შეიტყო მიზეზი ესრეთისათჳს განწყობილებისა სულისა ჩემისა მე თვითან არ ვიცოდი, რა პასუხი უნდა მიმეცა მისთვის, ვითარის სიყვარულიანობით, ვითარ ერთხელად სიტყვა შემოიტანა ადოლფზედ? მითხრა მან მე, რათა განცხადებულად მეთქვა მისთჳს, რომელ მიყვარსაა მე ადოლფი და მასთან მეუღლეობით ვიქმნები მე ბედნიერი თუ არა? ნუ გეშინიანო ამ თქმისა სასურველო მაშინვათ ესრეთ მესაუბრებოდა მე მიყურე თმანი ჩემნი ვითარცა თოვლი თეთრ-არიან, გარდა მისა შინაგანი გრძნობა მეუბნება მე რომელ აღსასრული ჩემი ახლოს არის, და შენი ცხოვრებაკი ახლა იწყება და მე უმეტესი წადილი როგორ უნდა შევიძლო შენს ჩემს სიკვდილის უწინარეს მტკიცეს ბედნიერებაზედაო? შენ უმსხვერპლე მოხუცისათვის ერთი ნაწილი უმშვენიერესთა წლთა ქალობისა შენისა ცხოვრებისა; რომელიცა ჰქმენ შენ ჩემთვის მოვალეობისაგან [illegible] სულისა, მისთვის ღმერთი მოგაგებს შენ ადოლფს ვითარცა მეუღლეს ვითარცა ღირსსა მეგობართა შვილთა შენთასაო და [illegible] უკეთუ გიყვარს შენ ადოლფი; მაშ გა-ღევ შენ ჩემს სრულს კურთხევასაო: ეს ახლოს მზადებელი არის რომელიცა საჭიროებს უფალსა ღმერთისა და რომელიცა ახალსა სახლსა შინა მიიღებს მშვიდობასაცა და სიხარულსაო! მე კე-დებში ჩავუვარდი და ვარწმუნე მას რომელ მხოლოდ ერთი პაზრი მისგან დაშორებისა ჩემთვის სამწოდელი არის და ქვეყანაზედ არ არის იმისთანა საგანი, რომელმანცა შეიძლოს ჩემი მასთან დაზავება მეთქი; ადოლფს პატივს ვცემდებ; ვეუბნებოდი მე მაგრამ პირველი ეს რომ მე არა ვიცოდა სიყვარულისათჳს მისისა და მეორედ დავარწმუნე და ვიტყვიცა გაბედვით, კავშირი ჩემი მასთანა არა ჰქონდამიყოფს მე დაკარგვასა უსაყვარელესისა ბიძისა ჩემისასა. მან თავის გულზედ მიმიკრა. ღმერთმან მოგაგოს შენ შვილებრივისა სიყვარულისთვისაო! და ჩემდაცა გამოუთქმელად სამწუხარო იქმნებოდამცა შენთან დაშორებაო, ვინაჲდგან შეჩვეული-ვარ იმა ტკბილისა პაზრისა, რომელ მოვჰკვდები კელთა შინა შენთაო. მე ძლიერ შეურკვებული ვიყავ სიტყვითა ამით ცრემლნი ჩემნი ჰან წარმოსაცა ადგა და სამწუხარო სტოლიდამ გამოიღო ქაღალდი, ესე იყო კანონიერი საბუთი რომელიცა მაძლევდა მე ნებასა და სამართალსა სრულ წლოვანისასა და რომლისა ძალით მარგო მე შემიძლიან განკარგულება კუთვნილისა ჩემდა მამულისა ჩემისა თვინიერ ყოვლისა მონაწილეობისა ნათესავთა ჩემთასა ღირსად დაუმტკიცების ნება ბიძისა ჩემისა თხოვითა მისითა თუმცადა განჰკვირვებია, ვითარცა ჰსთქვა მან მინდობა ათვრამეტის წლის ქალის სიბრძნისადმი. აიო: შენის თავისუფლების მტკიცე ნიშანი მითხრა მე კეთილ-მოქმედმა მოხუცმა: ადლე ესეო; ვიცი რომ შენ მისი ღირსი-ხარო და ესე საჭირო იქმნება შენის კეთილ-შემთხვევულებისათვისო. იგი არს უკანასკნელი დასამტკიცებელი საბუთი სიყვარულისა ჩემისა შენდამიო სიმტკიცევე და ნუგეშო ჩემისა მოხუცებულებისაო მე კელი მისი მივიკარ ჩემს გულზედ; იმედი მაქვს: რომელ ამა ტკბილმან მამამან ჰსცნა ჩემი მადლობა, თუმცადა ჩვენ შორის არცადათუ იყო მისთვის თქმული არცა ერთი ლექსი.

(ამისი შესრულება შემდგომში იქმნება)